ორშაბათი, 12 ივნისი 1917 წ.

ფასი 10 კაპ.

პრ.ოლ

რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარიანო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

გაზეთი ჯერ ჯერობით გამოდის კვირაში ერთხელ. კორეს პონდენციები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская, № 1, ред. „Наваказскій Рабочій" для груз газ. „Брдзола"
გაზეთი ღირს წლის ბოლომდი 2 მ. 50 კ., სამი თვით 1 მ. 20 კ., 1 თვით 40 კ.
განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უფასოდ ერ ბეჭდავ და სტრიქონი პატარა ღირს 10 კ.

№ 2 რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის (მეუმრავლესობა) თბილისის კომიტეტის ორგანო № 2

1917 წლის 4 ივნისიდან
ამხ. მიხა ცხაკაიასა და ფილიპე მახარაძის
რედაქტორობით გამოდის სოც.-დემოკრატიული მეუმრავლესობის ბანაკი

„პრ ოლ ა",

რომლის პირველ ნომერში მოთავსებულია რუსეთის სოციალ. დ. მ. პ. საერთო კონფერენციის ყველა რეზოლიუციები.
რედაქცია მოუწოდებს ყველა ამხანაგებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ „პრ ოლ ა".
გაზეთი გამოდის ჯერ ჯერობით კვირაში ერთხელ.
რედაქციის დროებითი [illegible]: თბილისი, „Кавказск. Раб." რედაქცია — „პრ ოლ ა".
ბარათები, წერილები [illegible] ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Редакція газеты „Кавказскій Рабочій", Георгіевская, № 1, для грузин. газ. „ Брдзола"

ამხანაგი ალექსანდრე წულუკიძის სსოვნას*).

6 ივნისს, დილის 1 საათზე, ქ. ქუთაისში, მშობლთა ოჯახში გირდაიცვალა ჩვენი საუკეთესო ამხანაგი „სანდრო", ალექსანდრე წულუკიძე. გარდაიცვალა ის ოცდათოთხ დღის სიშინელი ტანჯვის შემდეგ „ტუბერკულიოზის მენინგითისაგან". ექვთან ბაჩრაი, ეს სენი განვითარდა მასში უკვე ძალიან ადრე; ამხ. სანდრო ამ ბოლო დროს უკიდურეს აღფოთებულ მდგომარეობაში იყო „პარტიულ მუშაობისა გამო და „ბაკილებმა" „დალეტ[illegible] ... ბოლო მისი დასუსტებული ნერვები;—ამიტომ [illegible] მეცნიერების ყველა ცდა — გადაერჩინათ უღრეკი სიკვდილს სიცოცხლისა და მოქმედების ასე ძლიერ მუყურავე მებრძოლი რევოლიუციონერი — ამათი ჩაიარა. დაეცა მებრძოლი ბრძოლის ველზე!..

ალექსანდრე წულუკიძე (1876—1905)

„Дыханіе поэзіи, тебѣ дышать мѣшало", ასეთი სიტყვები იყო ამოქარგული ქუთაისის მოსწავლე ქალთა ერთ ვეფხვგვინის ლენტზე! და, მართლა ის მყრალი სენი, რომელიც ასდის თვითმპყრობელობის დამპალ მძოვარს, სწამლავდა ჩვენს სანდროს; მარა ამით მცირედაც არ შეუსუსტებია მას რევოლიუციონერი ენერგია,—პირ-იქით, ის უფრო და უფრო ბედგრძალ იბრძოდა და დაჩაგრული კაცობრობის ბედნიერებისა და სასიხარულო დღეების მოახლოებისათვის... და, აი, ბუნებით სუსტმა სხეულმა, რასაც ამ უკანასკნელ 4—5 წელს ზედ დაერთო საშინელი სენი—ტუბერკ—ვერ აიტანა!..

*) ეს ნეკროლოგი მოთავსებული იყო არალეგალურ გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლაში" (იხ. № 9, 1 (14) ივლისი 1905 წ.) რომელიც იყო კავკასიის კავშირის რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიისა. ნეკროლოგი კოლლექტიური შრომაა ამ კავშირის ცენტრალურ კომიტეტის, რომელიც სხვა და სხვა ერების წარმომადგენლებისგან იყო შედგარი, ნამდვილი ინტერნაციონალისტური იყო. ნეკროლოგი სამ ენაზე იყო დაბეჭდილი და სრულიად და საესებით გამომხატველი კავკასიის მიწინავე პროლეტარიატის ბრძოლა-გონებრივი დაუფიყარ ხაში ფუფიკეთისაგანი. ამიტომ საჭიროთ ვეგანია ქ გადმობეჭდვა და ჩვენი (დამზადებული) ოგონება კი სხვა დროსათვის გადავედეთ.
მ. ტ.

ამ ბანაგი კავკასიის პროლეტარიატი და განსაკუთრებით მისი ნაწილი — ქართველი პროლეტარიატ მას საკმაოთ იცნობს...

რამდენათ მას იცნობდენ და უყვარდათ—პროლეტარიატს და ღატაკ სოფლელთ—ამას ვვიჩვენებს ის გარემოება, თუ როგორი დიდებითა და პატივისცემით გაასვენეს მათ ჩვენი სანდრო 12 ივნისს დაბა ხონში. საშინელი კოკასიური წვიმის დროს კუბო განსვენებულის ნეშტით ხელით მიქონდათ 25—26 ვერსის მანძილზე ქ. ქუთაისიდან დ. ხონამდე უმთავრესათ მუშებსა და გლეხკაცებს. ამას ზედ დაემატეთ აუარებელი რიცხვი გვირგვინებისა (80 ზე მეტი) კავ[illegible] [illegible] საგან; თან წითელი დროშები, რომელნიც მრავალ-რიცხოვან ხალხს უძღოდა წინ და მიფრიალებდა.

ქ. ქუთაისის ბოლომდე გამცილებელი ხალხი იყო რამდენიმე ათი ათასი, ხოლო ქალაქ გარეთ დაბა ხონამდე არა ნაკლებ 7—8 ათასისა; ორი სპეციალური გუნდი მომღერალ მუშებისა, რომელნიც მარსელიეზასა და სხვა რევოლიუციონურ სიმღერებს მღეროდენ; და მაელი ეს ბანერება ხალხი, ერთობის გრძნობით აღტაცებული, სიმღერით კუბოს უკან მიმყოლი, მიუხდავათ ქეკა-ქუბადისა და გრგვინვა-ზვიმისა; სიტყვები, რიცხვი უთვალავი სიტყვები განსვენებულის ბინიდან გამოტანის შემდეგ მთელ გზაზე სამარის კარამდეს;—სიტყვები ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე; სიტყვები მუშებისა, გლეხკაცებისა და ბევრი სხვა ამხანაგებისა, რომლებიც კავკასიის პროლეტარიატისა და გლეხკაცობის სხვა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები იყვნენ; სიტყვები, რომელნიც ყველა უცილობლად თავდებოდენ მოწოდებით; „ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს სოციალიზმს!" და სხვ. და მასე იმეორებდა გრგვინვით მრავალრიცხოვანი ხალხი... აი, როგორ გაიცილა ნეშტი თავისი მებრძოლი ამხანაგისა კავკასიის პროლეტარიატმა!.. ყოველივე ეს ძნელ დასაჯერებელი, ზღაპრული ამბავია ამ მკითხველთათვის, ვინც ვერ დაესწრო ამ ისტორიულ დასაფლავებას. მარა, ყოველივე ეს ასე იყო და თითქმის ბევრი ამაზე მეტიც .. ხოლო ჩვენთვის შეუძლებელია ყოველივე იმის აღწერა, რაც ამხანაგ სანდროს დასაფლავების დღეს მოხდა!...

ადმინისტრაციამ ყურები ჩამოყარა და თავი ჩაქინდრა: მიუხედავათ იმისა, რომ წინა დღით გვემუქრებოდენ გაიძვერა გუბერნატორი კალიჩევი და პოლიციმეისტერი; მთელი პროცესია გასვენებისა დილის 9 საათიდან ოოკოდებული საღამოს 9 საათამდე „ამშიდობით" და „ეაზაკების" დაუსწრებლათ გავიდა. ეტყობოდა, რომ პოლიცია, ამ წლის დასაწყისს ქ. ქუთაისს ჩვენი ამხანაგების დასაფლავების დროს მომხდარ შესანიშნავი დემონსტრაციების შემდეგ, „მოჭკუანებულიყო" და გონიერულათ მიიმალა საღამოს 12 ივნისს უფრო დიდ დემონსტრაციის დროს სწორეკ რომ ვსთქვათ თვითმპყრობელობა ამ დღეს მოკვეჩენენ, მარა მხოლოდ მოგვეჩვენა, როგორც ანრიდილი წარსულის, საჰეტო ყარაულის მგიერათ ქალაქის ბოლოს, მოქაული ტერანტონიოსი და ათიოდე პოლიციელების სახით... რასაკვირველია, პოლიციამ, ალბათ, წინდაწინ მაგრათ დალეკა ყურები ბამბით, რომ არ მოესმინა „ღვთისა და მეფის მგმობი" სიტყვები რევოლიუციონური სიმღერისა... ხოლო მისი თვალები, ეტვი არაა, დაბრმავდენ იმ მომხიბლავი დიდი სურათით, რასაც წარმოადგენდა უთვალავი ხალხის მედგარი მსვლელობა თავის უცვლელ და შეუდრეკელ მებრძოლ ამხანაგის — რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატის კუბოს უკან...

აი, მოკლეთ პიროგრაფიული ცნობები განსვენებულ ამხანაგის შესახებ.

ჩამომავლობით — თავად წულუკიძეთ ეკუთვნოდა. მხეცურმა წესწყობილებამ ადრე გაისროლა ის შოლიდან... მარა ის არ შთაინთქა ქართველ „სახელოვან" თავად-აზნაურობის ჯობში, ოდონრაც მრავალი მისი წრის შვილები... 1896 წლიდან (მაშინ ის 19—20 წლის თუ იქნებოდა) ის დაუახლოვდა ქართველ ახალგაზდა მარქსისტებს და სოციალდემოკრატების ჯგუფს, რომელიც მაშინ უკვე იწყებდა პრაქტიკულათ მუშაობას. მეცნიერების შესწავლის წყურვილმა და ამ აზრმა, რომ სოციალდემოკრატიულ მუშაობისთვის მეტად დიდი მომზადებაა საჭირო, ის გიიტაცეს მოსკოვში, სადაც ორი წლის განმავლობაში მან საფუძველიანათ შეისწავლა სამოლიტიკო ეკონომიის საუკეთესო მწერლობა განსაკუთრებით კი მარქსი და ენგელსი, და ცოტათი შეელახული ჯანით დაბრუნდა ქ. თბილისში. აქის ცხოვრობდა თვის ოჯახობით, როგორც პროლეტარი. რადგან იძულებული იყო აუტანელი ბრძოლით მიიტეგა საჯრდო. ამასთანავე ის მეცადინეობდა მუშათა წრეებში და ყოველივე პარტიული მუშაობაში ქ. თბილისში მხურვალე მონაწილეობას იღებდა... ასე მოღაწეობს ის ერთი წლის შემდეგ ქ. ბათუმში. 1902 წლიდან მისი სამრთველ შესამნენეადა შერიყა: ის იძულებულია დაანგოს საქსახურსა და ლუკმა პურისთვის მუშობას თავი და გადმოსახდეს ქ. ქუთაისში, სადაც აქტიურ მონაწილეობას იღებს გურიისა და იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტების დაარსებაში... კავკასიის კავშირის მეორე კრებაზე ის იყო იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის დელეგატთ. მას ირჩევენ კავშირის კომიტეტში, სადაც ის დარჩა წევრად სიკვდილის დღემდე. ის იყო კავკასიის კავშირის ერთი საუკეთესო ამხანაგ—მოღვაწეთაგანი, სერიოზულათ მომზადებული და ყველაზე უფრო გულმხურვალე მომბრძოლ პარტიელი „უმრავლესობისა".

მას ნათლად ქონდა წარმოდგენილი, თუ რა მდგომარეობაშია პარტიული საქმე დღეს კავკასიაში, მარა მაინც, მიუხედავათ პარტიული კრიზისისა, მზნედ და სრული რწმენით გაიძახოდა საკვდილის წინ: „იდეა მაინც გაიმარჯვებსო!" — ლიბაც, „გაიმარჯვებს იდეა", ამხანაგო-მეგობარო: და ამ გამარჯვებაში შენც არა მცირედი ღვაწლი მიგიძღვის პარტიის წინაშე!.. პროლეტარები და სოფლის ღატაკნი არ დაგიეწყებენ, როგორც ერთ გულწრფელ მებრძოლთაგანს თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის!

თბილისი, 12 ივნისი, 1917 წ.

თებერვლის რევოლიუცია, შეიძლება ითქვას, მოულოდნელათ დაგვატყდა თავს. ჩვენი ორგანიზაციები უმეტეს შემთხვევაში ან სრულებით მინგრეულ-მონგრეული იყო ან სულ გაქრილი. პარტიის ცენტრალური ორგანოებთანაც კავშირი და ურთერთობა თითქმის სრულებით შეწყვეტილი იყო. ეი ასეთ თავდაყრეულის და საერთო დაქაოსის დროს რევოლიუციამ მოგვიტანა უფართოესი თავისუფლება.

თავისუფლება გვაძლევდა რევოლიუციონურ თვითმოქმედებას, რევოლიუციონურ ორგანოების შექმნას დაუყოვნებლივ. ასე ხდებოდა ყოველგან, ასე მოხდა თფილისშიც. ჩვენ ყველამ თითქმის ერთ და იმავე დროს შეუუდექით მუშათა დეპუტატების საბჭოს შექმნას და მის გამგრებას. ეს იყო რევოლიუციის პირველი დღეები. მხოლოთ შემდეგ შეუუდექით პარტიულ ორგანიზაციის მოწყობას. საოლქო კომიტეტმა, რომელიც განსაკუთრებით მეუმცირესეებიდან შესდგებოდა და რომელსაც მუშებთან ყოველივე კავშირი გაწყვეტილი ქონდა მრავალ წლების განმავლობაში, თავს იდვა პარტიის დამფუძნებელი კრების მოწვევა. სოც.-დემ. მეუმრავლესეებში მაშინვე დისეა საკითხი, თუ რა დამოკიდებულება უნდა დაგვეჭირა მეუმცირესეების მიერ მოწვეულ კრებასთან. მივიღეთ რა მხედველობაში ერთი მხრით ბაურაკვეული მდგომარეობა რუსეთში საერთოთ, ვინაიდან რევოლიუციის პირველ დღეებში ჩვენ თითქმის სრულებით მოწყვეტილი შევიქენთ ჩვენი ცენტრალური კომიტეტისაგან, და მეორე მხრით, 1905 წლის რევოლიუციის დღეები, როცა მეუმრავლესეება და მეუმცირესეთა ორგანიზაციებმა ალაგ-ალაგ თითქმა სტიქიურათ იწყეს გაერთიანება, ვინაიდან თვითსუფლმა არსებობამ, თუმც ხანმოკლემ, ფრაქციული უთანხმოებანი ზოგიერთი მიზეზები ჩამოგვაცალა, — ვიმეორებთ, მივიღეთ რა ყოველივე ეს მხედველობაში, ჩვენ გადავწყვიტეთ ერთი საერთო სოციალდემოკრატიული ორგანიზაციის შექმნა, ეხლოთ ამ პირობით კი რომ მეუმცირესეთა დიდ უმრავლესობას მექანიკურათ არ შეეკვეროდენ, როგორც ეს ზენეთ ხდებოდა და რომ ჩვენ თავიანი იდეური ფიზიანომიის შესანარჩუნებლათ გვქონდენოდა საკუთარი ორგანო გაზეთის სახით. ეს ისეთი ელემენტარული უფლებები იყო, რომ მეუმცირესეთ იმათ წინააღმდეგ წასვლა სიტყვით მაინც არ შეეძლოთ.

რა თქმა უნდა, საქმით თფილისის ადგილობრივი ორგანიზაცია მხოლოთ მეუმცირესეთა ორგანიზაცია შეიქნა; მეუმრავლესეენი ორგანიზაციაში გავხდენთ ნამდვილ გერბები, და ჩვენი უფლებები ყოველ ფეხის ნაბიჯზე ითელებოდა. უნდობლობა ჩვენ დამი მეუმცირესეების მხრით იმ ზომამდე მივიდა, რომ ჩვენ წინააღმდეგ ისინი უკავშირდებოდენ სოც.-რევოლიუციონერებსაც კი, ოღონდ ჩვენ გავეშავებინეთ (მაგ., კავკასიის ჯარის წარმომოგზენელთა სიეზდი და სხვ.). იმათ ვერ შესძლეს მხოლოთ ჩვენი ორგანოს „კავკაზსკი რაბოჩი"-ს დატუქვა ან სრულიად მოსპობა, თუმც ეერაშის მოტანა რამდენიმეჯერ სცადეს.

რამ გამოიწვია ასეთი ურთი ერთობა ადგილობრივ ორგანიაცია მეუმცირესეთა და მეუმრავლესეთა შორის? ეს ძველი ისტორია. როგორც ჩანს, ამის გამოსწორება ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. მეუმცირესენი ამოუდგენ გვერდნი ბურჟუაზიას, გამოაცხადეს ეს უკანასკნელი რევოლიუციის ბამოძრაველენ ძალათ, როცა იგი ნამდვილათ კონტრ-რევოლიუციონერია. გუნკოვების და მილიუკოვების დროებითი მთავრობას ითი სრული ნდობა გამოუცხადეს და დემოკრატიას უარჩინეს მას ფული მისცეს ავაზაკური და მტაცებლობითი ომ ს გასაგრძელებლათ; ამნაირათ გამოაცხადეს რა თავიანი თავი „რევოლიუციონურ თავდამცველებათ", მეუმცირესენი ხმარ ეტერენ თვით ავაზაკურ ომს, თუმც სიტყვათ ომის წინააღმდეგი არიან. ყოველივე იმას, რაც ხელს უშუობს ომის გაათავებას და რევოლიუციის განვითარებას, ისინი ეწინააღმდეგებიან; ისინი ეწინააღმდეგებიან ყველა მეწყობის გადასვლას დღესვე გლეხების ხელში, რომ ამიო ავიცილონ თავიდან ის ეკონომიური კატასტროფა, რაც თანდათან გვიახლოვდება სომეშილის სახით. ისინი ეწინააღმდეგებიან ორივე მეომარ მხარეების სალდათების დამშობილების ფრონტზე, რაც კლასობრივი ბრძოლის გაგრძელება და დამტობაა, ვინაიდან სალდათები იგივე მუშებია, რომლებიც შინელში გადაკმეტები განაგრძობენ მუშობას მძარცველ ავაზაკ-იმპერიალისტების სასარგებლოთ. მეუმცირესენი ეწინააღმდეგებიან იმას, რომ მთელი ძალაუფლება სახელმწიფოში მუშების. სალდათების, გლეხების და სხ. დეპუტატების საბჭოების ხელში გადავიდეს, მაშინ რაკი სწორეთ ეს საბჭოები წარმოადგენენ დღეს რევოლიუციონური ხალხის თვითმოქმედ ორგანოს. იმათ ვერ შეუგნიათ დღევანდელი მომენტის მთელი ბნიშვნელობა, იმათ გონიათ, რომ ჩვენ უბრალო ბურჟუაზიულ რევოლიუციას განვიცდით, რომელმაც სათავეში ბურჟუაზიული მთავრობა უნდა წამოასკუპოს, რისთვისაც პროლეტარიატმა და გაპვერებულმა გლეხობამ მხოლოთ სისხლი უნდა ღვაროს; იმათ არ შეუძლიათ შეიგნონ, რომ თანამედროვე მომენტმა დღიერ წესრიგში წამოაყენა უკვე სოციალისტური რევოლიუცია, ამიტომ რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატია ვალდებულია გადადგას გადგენული ნაბიჯები სოციალიზმისაკენ. ერთი სიტყვით მეუმცირესეთა და მეუმრავლესეთა შორის განსხვავება რევოლიუციის თითქმის ყველა ძირითად ეტაპების შესახებ იმდენათ გარდმავდა, რომ ერთი ორგანიზაციის ჩარჩოებში არსებობა ყველაზე შეუძლებელი შეიქნა.

გარდა ამისა, ამ ერთი ფეხ ნინეთ პეტროგრადში მოხდა რუსეთის [illegible] დემოკრატიულ ორგანიზაციების საერთო კონფერენცია, რომელიც მიიწვია ცენტ. კომიტეტმა (მეუმრავლესეთა კონფერენციაა), ამ კონფერენციაზე გადაწყდა რომ „რევოლიუციონურ თავდამცველებთან" ერთ საერთო ორგანიზაციაში ყოფნა დასაშვები არ არის, რომ გაერთიანება შეიძლება მხოლოდ ინტერნაციონალისტ-მეუმცირესეებთან ერთათ, რომლებიც „რევოლიუციონურ თავდამცველობას" უარსყოფენ.

მიიღო რა ყოველივე ეს თფილისელ მეუმრავლესეთა სიზოგადო კრებამ, თითქმის ერთხმათ დადგინა: დაუყონებლივ შეუდგეს მეუმრავლესეთა საკუთარი პარტიული ორგანიზაციის შექმნას თფილისში და ოფიციალური ურთიერთობის დაკვრას ბატიის ცენტრალურ კომიტეტთან. ამავე კრებაზე თითქმის ერთხმათ მიღებულ-იქნა თფილისის დროებითი კომიტეტის მიერ შემუშავებული „მიმართვა მუშებისადმი", რომელსაც ჩვენ აქვე ვბეჭდავთ.

მიმართვა მუშებისადმი

ამხანაგებო-მუშებო!

ორი უდიდესი, ერთი მეორის აშკარა მოწინააღმდეგე ფაქტორი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და ეკონომიურ სამეურნეო ცხოვრ[illegible] ერთ და იმავე დროს არსებობს, ომი და რევოლიუცია ერთ და იმავე დროს სწარმოებს და ეს კარშეოდბა ქმნის თანამედროვე მომენტს შეტათ სერიოზულათ.

ომი ამნაირებს ხალხის მასას, რევოლიუცია ანთავისუფლებს მას. ომი ანადგურებს ქვეყნის საწარმოო ძალებს, რევოლიუცია ანვითარებს მათ და გამოყავს ისინი ახალ გზაზე. ომის წინსვლა რევოლიუციის დიდუბეკა და ბრძოლა მათ შორის, ბრძოლა სამყაროთა სიცოცხლო, არის ბრძოლა ძველისა და ახალი წყობილებს შორის.

შეწყვეტა ომისა, რომელმაც დიდუბეკის კარამდე მიიყვანა ყველა ნერვი ქვეყნ[illegible], შესაძლებელია მხოლოთ ინტერნაციონალურ სიზიკვრეზე. ომის წინააღმდეგ მებრძოლი ძალის, რევოლიუციის

გასამარჯვებლათ საჭიროა, რომ რეგოლიუცია გადავიდეს სხვა მეზობარ ქვეყნებში, ნაციონალურიდან ის გახდეს ინტერნაციონალური; საერთაშორისო ომის მოსპობა შეუძლია მხოლოთ საერთაშორისო რეგოლიუციას.

დარაზმეა საზოგადოებრივი კლასებისა, რომლებიც ცხოვლათ არიან დაინტერესებული ამ ბრძოლის ამა თუ იმ შედეგში, არის დარაზმეა ერთთა ომის გარშემო და მეორეთა რეგოლიუციის გარშემო.

ბურჟუაზია და ყველა გაბატონებული კლასები არიან მოამბრე და არც შეიძლება არ იყვნენ მოამბრე ომისა და წინააღმდეგნი რეგოლიუციისა; პროლეტარიატი და ყველა დამონებული კლასები მოამბრე არიან და მოამბრე უნდა იყვნენ რეგოლიუციისა და წინააღმდეგნი არიან ომისა. ორპოლი მდგომარეობა, რომელიც ახასიათებს საშუალო კლასებს და რომელიც გამოხატება იმაში, რომ ერთ და იმავე დროს იყავენ ომის და რეგოლიუციის ინტერესებს, არის ან მოტყუება, შეგნებულათ მიმართული პოლიტიკურათ განუთარებელი მასის მოსაღორებლათ, რაც მთელათ ბურჟუაზიისთვის არის ხელსაყრელი, ან გონებრივი ულარჯობა, რომელიც შეძლებას არ აძლევს გაერკვეინონ საშინაო და საერთაშორისო სიტუაციის რთულ მოვლენებში.

ბურჟუაზია ცდილობს თავის სასარგებლოთ გამოიყენოს შუაზე მდგომი ძალები, რომლებიც ერთი ხელით რეგოლიუციას ეპატონებიან, მეორეთა ომს ჩასჭიდებიან და რომლებიც ცნობილი არიან „რეგოლიუციონური თავდაცვის“ სახელწოდებით; ის ცდილობს დამეყაროს მათ და ამავე დროს ამხადებს რეგოლიუციის დამარცხებას შიგნით.

ამავე მიზნით ის ცდილობს, ადგილობრივ საზღვრებში შეაკავოს რეგოლიუცია, რომ ის საზღვარ-გარეთ არ გადავიდეს. ამავე დროს მეიდროთ უკიაშირ[illegible] ერთაშორისო ბურ[illegible] ერთათ ამზ[illegible]

[illegible] ბურჟუაზია და [illegible] საერთაშორისო რეაქციის გზაზე და ყოველი ღონით ამზადებს სამოქალაქო ომს სოციალისტური პროლეტარიატის წინააღმდეგ.

ომის გადერით მოწინააღმდეგე რეგოლიუციონური პროლეტარიატი ცდილობს გაურკვიოს იმ ჯგუფებს, რომლებიც რეგოლიუციონური თავდაცვის შეხედულებას იზიარებენ, ომის ნამდვილი ხასიათი და რეგოლიუციის მნიშვნელობა, რომ სამუდამოთ გაიყვეტინოს მათ კავშირი ბურჟუაზიასთან და საბოლოოთ მიემხრონ ისინი რეგოლიუციას. ის ცდილობს მაქსიმუმამდე განავითაროს რეგოლიუცია შიგნით და მის სრული გამარჯვებისათვის ევროპაშიაც გადატანოს იგი. საერთაშორისო რეაქციას ის ებრძვის საერთაშორისო რეგოლიუციით.

ბურჟუაზია ცდილობს შეინარჩუნოს თავისი პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობა და დაჩაგრული კლასები ძველებურათ დამონებულთ მდგომარეობაში ამყოფოს. პროლეტარიატი ამზადებს ძალებს, რომ შექმნას პირობები ამ ბატონობის [illegible]ათ. ბურჟუაზია და პროლეტა[illegible]ძალა თანამედროვე ეპოქაში [illegible] გაგრძელება საეკონომიური ბრძოლისა ამ მოწინააღმდეგე კლასთა შორის; ეს ბრძოლა გაიმწვავა თანამედროვე მიმდინარეობა და წამოაყენა იგი საბოლოოთ გადასაწყვეტათ. ბრძოლის შედეგი საბეიდროწერო იქნება ერთ-ერთი მეზობელი მხარისათვის. არავითარი მორიგება და შეთანხმება ამ კლასებისა არ შეიძლება.

ჩვენი პარტია, რეგოლიუციონური სოციალდემოკრატიის პარტია, შეგნებულ მუშათა და უღარიბეს გლეხთა პარტია, თავის მიზნათ ისახავს დაცვას პროლეტარიატის ინტერესები. ის მიდის რეგოლიუციის პირდაპირი გზა, რომელიც მიმართულია ისტორიისგან განწირულ ძველი დროის ყველა ნაშთების სრული მოსპობისა�და მთელი სახელმწიფო წყობილების სრული დემოკრატიზაციისაკენ; ამავე დროს ის სწყვეტს მომენტის ყველა ეროვნულ-ეკონომიურ კითხვებს ისეთი ფუნდამენტებით, რომლებიც ნამდვილათ უზრუნველყოფენ რეგოლიუციის გამარჯვებას. ველ ყოფენ რეგოლიუციის ბალხის სრული ბატონობა მუშების, სალდათების და გლეხების დეპუტატთა საბჭოების სახით, რეგოლიუციონური დიქტატურა ხალხისა, რომელიც მეიდროთ შეაკავშირებულია თავიდან ბოლომდე, რაიცა შეუძლებელათ ხდის მასზე ძალმომრეობას ვისიმე მხრით, ბატონობა იმ ხალხისა, რომელიც კაპიტალისტებისა და მემამულეების სურვილის წინააღმდეგ ახლავე უნდა სარგებლობდეს მთელი მიწით, რომელიც იღებს გადამჭრელ ზომებს ომას დაეკუნებულ შესაწყვეტათ, აქყარებს ნამდვილ კანტროლს წარმოებაზე იმ მიზნით, რომ დარღვევა ქვეყანა აუცილებელი კატასტროფისგან, რაიც გამოწვეულია ეკონომიური არეულ-დარეულთა—აი რას ესწრაფვის ჩვენი პარტია რეგოლიუციის დღეანდელ საფეხურზე, რათა გაამგორის პროლეტარიატის პოზიცია სოციალიზმისთვის საბძოლველათ.

მომენტი მეტათ სერიოზულია, მის მიერ წამოყენებულ საკითხების გადაჭრა შეიძლა ძნელია და ეს გარემოება დაეინებით მოითხოვს პროლეტარიატის და მისი პარტიის მეიდროთ შეკავშირების აუცილებლობას სოციალიზმის დროშის გარშემო, რომელიც გაანათებს ეკლიან და საძნელო გზას წმინდა პროლეტარული პოლიტიკის წარმოებისას, რომელიც თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარ წვრილ-ბურჟუაზიულ რეაქციისგან. გაფენა რა ამ გარემოებას ანგარიში, ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია 24—29 აპრილს 1917 წ. მთელი რუსეთის კონფერენცია რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიისა, რომელიც წარმოადგენდა 80 ათასზე მეტ შეკავშირებულ პროლეტარებს. კონფერენციამ გადასჭრა მთელი რიგი რეგოლიუციასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან კითხვებისა რეგოლიუციონური სოციალდემოკრატიის თვალ[illegible]სით, ამაყათ აღმ[illegible]

[illegible] ბალშევიკების საზოგადოებ[illegible]ებმა განიხილა კონფერენციის [illegible]ლიუციები და ერთხმათ მიიღო ისინი თავის მოკმედების სახელმძღვანელოთ.

აქედან წარმოსდგა საკითხი თბილისის გაერთიანებულ სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციასთან დამოკიდებულების შესახებ.

თბილისის ორგანიზაციის უმრავლესობა იზიარებს მენშევიკ-თავდამცველების თვალსაზრისს. მენშევიკები მხარს უჭერენ დროებითი მთავრობას, რომელიც აქტიურათ აწყობს კონტრ-რეგოლიუციას და აწარმოებს თავდასხმელ იმპერიალისტურ ომს, ისინი მხარს უჭერენ ეგრეთ-წოდებულ თავისუფლებას სესხს და ეწინააღმდეგებიან სალდათების დამობილიზებას ფრონტზე; ისინი ცდილობენ ადადგინონ ინტერნაციონალი არა ყველა იმპერიალისტებთან ყოველივე კავშირის გაწყვეტის ნიადაგზე არამედ შეიდემანებთან ერთათ, რომელთაც ბურ[illegible]ზიას მაყიდეს თავი.

ჩვენი პარტია იმ მიზნით, რომ დაიცვას პროლეტარიატი მისთვის უცხო გაღლენისაგან, ეარაკვათარ დათმობის გზას ვერ დაადგება რეგოლიუციონურ თავდამცველებთან და სწყვეტს მათთან ყოველივე კავშირს.

ამის გამო, კრებამ დაადგინა შეწყვეტოს კავშირი მენშევიკურ ორგანიზაციასთან, რომელიც იზიარებს რეგოლიუციონურ თავდაცვის შეხედულებას, გამოიწვიოს იქედან ყველა ჩვენი თანამშრომელი—ბალშევიკები და შექმნას ცალკე სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელიც ადგა რეგოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისზე.

ამასთანავე ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენს ორგანიზაციაში მენშევიკ-ინტერნაციონალისტებს, რომელნიც იზიარებენ ინტერნაციონალისტის აზრ. მარტოვის თვალსაზრისს, იმ მარტოვისას, რომელსაც რენეგატობამ მიიყვანა პარტიულ და რეგოლიუციონურ მოქმედების გაგრძელება მენშევიკ-თავდამცველებთან ერთათ. მოეკრუსეთში სწორმოვას გამოყოფა რეგოლიუციონური სოციალ-დემოკრატიისა რეგოლიუციონურ თავდამცველთაგან, რაც მეიდროთ აერთებს მენშევიკ-ინტერნაციონალისტებს (მარტოვი, ტროცკი, მარტინოვი) ბალშევიკებთან და არა ნაკლებ მეიდროთ აკავშირებს მენშევიკ-თავდამცველებს ნაროდნიკ-თავდამცველებთან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ინტერნაციონალისტებს ადგილი არ უნდა ქონდეთ ერთ ორგანიზაციებში მენშევიკ-თავდამცველებთან. იმათ უნდა შეიგნონ მომენტის დიდი მნიშვნელობა და სოციალიზმის ინტერესებ სათვის, რეგოლიუციის შეურყეველი განვითარების ინტერესებისათვის, უნდა საბოლოოთ გასწყვიტონ კავშირი თავდამცველებთან და ბალშევიკებთან ერთათ ხელი-ხელ ჩაკიდებულმა საქმით გაამგორონ ნამდვილი რეგოლიუციონური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია.

გაუმარჯოს რეგოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიას!

გაუმარჯოს მეამე ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

თბილისის კომიტეტი რ. ს. დ. მ. პ.
(ბალშევიკების).

ისინი რას აკეთებენ?

„ისინი“, ე. ი. ჩვენი პარტიიდან გამოყოფილნი მეუმცირესენი, რომელნიც „დამცველობის“ პოლიტიკის მომხრეებთან გამოდიან, წვრილ-ბურჟუაზიულ პოლიტიკას მსგავლ იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან შეთანხმებით აწარმოებენ საგარეო და საშინაო საქმეებში. მათ თვალთახედვის ისარს არ იზიარებენ მათივე დღემდე იდეური ხელმძღვანელები: ტროცკი, მარტოვი, მარტინოვი და სხვები. მათ როგორც ინტერნაციონალიზმის მომხრეებმა, ჩვენთან ერთათ ომის გაგრძელების სესხის მიღების და სოციალისტების კოალიციონურ სამინისტროში შესვლის წინააღმდეგ მედგრათ გაიღაშქეს [illegible] „[illegible]“. [illegible] Საერთო კონფერენციაზე,—და არა იმით თითქოს მათ გაუწყრეთ-ელ სურდეთ და შესაძლებლათ მიანდეთ რეგოლიუციონურ სოციალ-დემ-კრატიასთან (მეუმრავლესობასთან) ერთად ხელ ჩაკიდებული მუშაობა.

თბილისის მეუმრავლესენმა რეგოლიუციის პირველ დღეებში იმედი დაებადათ რომ მეუმცირესენთან ერთად შეიძლები მუშაობა და მათი ჩვენთან ძველი დამოკიდებულები შეიცვლებოდა. მით უფრო, რომ რეგოლიუციის მსვლელობამ მეუმრავლესთა ტაქტიკა დიდებულათ გაამართლა...

ჩვენ ბრალს ვდებენ, თითქოს დღემდე ჩვენ არაფერი გვიკეთებია. ამაზე ჩვენ ა[illegible] ვიტყვ[illegible]ოთ: რა დასამდური ახლა, რომ რეგოლიუციამდე მეუმრავლესენი უფრო მეტათ, ვინემ მეუმცირესენი ციმბირ-კატორღაში, ციხეებში ან საძიებელ-ფეებში (подполье) და დაქაქსულ-განმეფული იყვნენ. მაშინ როდესაც ისინი (მეუმცირესენი), როგორც „ლეგალისტები“, რეგოლიუციის ხელ ახლა ჩქარა გაფეგეგება-აღორძინებაში იმედ-დაკარგულნი, ბურჟუაზიასთან ერთად მოღვაწეობდნენ სტოლიპინის კონსტიტუციის იგუებოდნენ. მეუმრავლესენმა კი 1905—1907 წლების რეგოლიუციის შემდეგ კონტრ-რეგოლიუციის მძვინვარების დროს იარაღი არ დაუყრიათ, არა ლეგალური პარტიიდან არ გაქცეულან, (როგორც ეს მეუმცირესენმა ჩაიდინეს), არამედ ისევ ძველებურათ, ღრმა რწმენით გატეტებულნი, რეგოლიუციონურ ტაქტიკას აწარმოებდნენ: ქიეევიდან რეგოლიუციონურ მასასთან ერთად რეგოლიუციის ხელ ახლი გასაღვეგებლათ მუდმივი იერიშები მიკონდათ რუსეთის თვითმპყრობელი „კონსტიტუციის“ წინააღმდეგ, სტოლიპინ-გუჩკოვ-მილიუკოვის და ძმათა მათთა „კონსტიტუციისა“. „ისინი“ მაშინაც კი ჩვენ ანარქისტებს, ბლანკისტებს გვეძახდნენ და თვით მილიონ მუშებს გაფიცვები პეტროგრადსა და სხვაგან რუსეთში „ბარტიული“ („ბარ-ტაციები“) გაფიცვებათ ეწოდნენ...

მეუმრავლესენ მუშა დეპუტატებ-�es „დუმაში“ არ დაინდო თვითმპყრობელმა და ციმბირში გადაკარგა, როცა მათ ომის წინააღმდეგ ხმა ამაღლეს და როგორც სიტყვით, ისე საქმით უნდოდათ ეს დემონსტრაციები.

მარა მათმა რეგოლიუციონურმა ტაქტიკამ, აგრეთვე ინტერნაციონალურ-პროლეტარულმა ტაქტიკამ გაიმარჯვა და რეგოლიუცია რუსეთში მსოფლიო ომის ძნელ პირობებშიაც შესაძლებელი შეიქნა.

რუსეთის მეუმრავლესენმა რეგოლიუციონური მარქსიზმის მეთოდით და კრიტიკით იხელმძღვანელეს, ანგარიში გაუწიეს ქალაქისა და სოფლის პროლეტარების და ნახევრათ-პროლეტარების ქეშმარიტ ინტერესებს, საერთაშორისო მეუშათა რეგოლიუციონურ მოძრაობის წარსულს, პირველ და მეორე ინტერნაციონალის საუკეთესო ტრადიციებს და პეტროგრადის საერთო კონფერენციაზე 24—29 აპრილს დროს შესაფერი რეზოლიუციები გამოიმუშავეს (იხ., „ბრძოლა“ № 1). გადაიკითხეთ ეს რეზოლიუციები, ამხანაგებო, ქალაქისა და სოფლის პროლეტარებო და ნახევრად პროლეტარებო, დაუფიქრდით მათ ღრმა შინაარს, შეადარეთ ისინი „დამცველობის“ ტაქტიკის მიმდევარ მეუშრავლესენების რეზოლიუციებს და მაშინ დაინახავთ, რომ მათთან ერთად ჩვენი მუშაობა პროლეტარიატის ინტერესებისა და რეგოლიუციის ღალატი იქნებოდა.

„ისინი“ სამუშაროთა საკითხთ მიჩვეულნი არიან ბურჟუაზიასთან ერთად მუშაობის დროს „დიპლომატიის“, „ფარისევლობის“, „ჩემი შენ გითხარი“-ოს პოლიტიკას. მხოლოდ ამ გარემოებით აიხსნება მათი ჩვენ წინააღმდეგ ამგვარი ამხედრება (იხ. „ერთობა“ № 65—66).

მარა, თუ ასეთი ყოფაქცევით „ისინი“ ფოსს გადიოდენ წარსულში არა ბგეგონია მომავალშიაც ასე იქნება. ამის თქვენც დამტკიცებთ, „ბრძოლის“ მეგობარნო და მეგობელნო, რუსეთის პროლეტარიატის ერთად-ერთ [illegible]ბრიტ რეგოლიუციონურ ინტერნაციონა-

[illegible] ხალხთა ძმობის, ყველა გაერთიანების და ყოველივე საბელმწიფოებრივი საზღვრების გაუქმების იმ სახით, რა სახითაც ეს საზღვრები კაპიტალიზმის ხანაში არსებობენ. მაგრამ ეს დამობილება, ეს გაერთიანება უნდა მოხდეს თავისუფალი ნებით, და [illegible] ძალდატანებით; ერთი სიტყვით, როგორ ჩვენ ესცნობთ ერის თვითგამორკვევის უფლებას, ამით ჩვენ უკვე ვცნობთ იმასაც, რომ ერს აქვს სრული უფლება თავისუფალი გამოყოფისა იმ სახელმწიფოს ფარგლებიდან, რომელმაც იგი ძალდატანებით შემოიერთა. თავის თავად იგულისხმება, რომ ერს შეუძლია არ ისარგებლოს ამ უფლებით, და აგრეთვე პროლეტარიატის პარტიას კლასობრივი შეგნების განვითარებისათვის და სოციალიზმის განხორციელების დასაჩქარებლათ უფლება აქვს ასეთი გამოყოფა შეუსაბამოთ ცნოს და მის წინააღმდეგ პროპაგანდა და აგიტაცია გასწიოს, მაგრამ მუშათა პარტიას არ შეუძლია წინააღმდეგს ერის საერთო სურვილს, თუ კი იგი გადაჭრით გამოყოფას მოითხოვს და მზათაა ასეთი თავისი უფლება ყოველივე საშუალებით დაიცვას. ასეთია ერთათ ერთი ლოდიკური დასკვნა, რომელიც ერის თვითგამორკვევის უფლებისაგან გამომდინარეობს; უამისოთ ამ უფლების აღიარება აშკარა დატყუილება იქნებოდა და სხვა არაფერი. და სწორეთ ასე იქცევიან კაპიტალისტების კლასის წარმომადგენელები, რომლებიც სიტყვით ერის თვითგამორკვევის უფლებას აღიარებენ, და საქმით კი პატარა და სუსტ ერებს იმორჩილებენ ან ტყავს აძრობენ. სოციალ-დემოკრატია ვალდებულია ფარულად ახადოს კაპიტალისტების ფარისეველობას და მთელ ქვეყანას დაუმტკიცოს, რომ კაპიტალისტებს არ შეუძლიათ ერების თვითგამორკვევის მხარი დაუჭირონ სინამდვილეში.

ასეთი იყო კონფერენციის უმრავლესობის პოზიცია ეროვნულ საკითხის შესახებ, რომელიც გამოხატულია მიღებულ რეზოლიუციაში.

როგორც ზევით შევნიშნეთ, კონფერენციაზე მეორე მიმდინარეობამაც ინნა თავი. როგორი იყო ეს მეორე მიმდინარეობა? მოკლეთ ის გამოხატება ასე: სოციალ-დემოკრატია, როგორც მუშების ინტერნაციონალურ მოძრაობის და ინტერნაციონალურ მისწრაფებათა გამოხატველი, როგორც გადაჭრით მომხრე ერების სრული ერთობის და ძმობის, წინააღმდეგი ამის, რომ იმ ერებს, რომ-

ნაციონალური საკითხი

რუსეთის სოც.-დემ. საპარლამენტო კონფერენციაზე.

თითქმის არც ერთი საკითხს ჩვენი პარტიის საერთო კონფერენციაზე არ გამოუწვევია ისეთი ცხარე კამათი, როგორიც გამოიწვია ნაციონალურმა საკითხმა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ კონფერენციის წევრებს შორის ყოფილიყოს რაიმე ღრმა ან შეურიგებელი განსხვავება ამ საკითხის შესახებ. ორი მთავარი მიმდინარეობა ნაციონალური საკითხის შესახებ, რომელმაც თავი იჩინა კონფერენციაზე, ნაციონალურ პროგრამის ერთნაირად უყურებდა და უყურებს. ორივე მოკამათე მხარე აღიარებდა, რომ ნაციონალური საკითხი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით წარმოადგენს ერთნაირ შემფერ ხებელ ზღუდეს, რომელიც დგას ინტერნაციონალიზმის და სოციალიზმის გზაზე, ამიტომ საჭიროა როგორმე მისი თავიდან მოშორება, რომ ინტერნაციონალიზმს და სოციალიზმს გზა აეკეაფოთ. რა გზით, რა საშუალეთ შეიძლება ამის მიხწევა?—მხოლოთ ამ კითხვის გადაჭრამ გამოიწვია კამათი.

როგორც ვიცით, ჩვენი პროგრამამინიმუმის მეეხრე პარაგრაფი შეიცავს დებულებას ნაციის, ერის, თვითგამორკვევაზე. კამათი ტრიალდება სწორეთ ამ დებულების გარშემო. ერის თვითგამორკვევა მეტათ ფართო და ზოგადი დებულებაა; ეს გარემოება შეადგენს როგორც მის ნაკლულოვანებას, ისე მის ღირსებასაც. შეიძლება ეიგულისხმოთ ყველაფერი, მაგრამ მეორე მხრით აქ გარკვევით არაფერი არ არის ნაჩვენები. აქედან აშკარაა, რომ ეს დებულება რამდენიმეთ ბუნდოვან სახეს იღებს. ეს ბუნდოვანება კიდევ უფრო ძლიერდება მით, რომ ერის თვითგამორკვევის ლოზუნგით ამ უკანასკნელ დრო-ს გამოდიან იმპერიალისტური ბურჟუაზიის წარმომადგენელნიც, ე. ი. ისინი, ვინც ნამდვილათ სუტ და პატარა ერებს ჩაგრავენ, ომენებენ და ავიწროებენ. ამნაირათ გამოდის, რომ ერთი მხრით ერის თვითგამორკვევის პრინციპს აყენებენ ისინი, ვინც ყოველგვარ ჩაგვრის და ძალადატანებას ებრძვიან და მეორე მხრით ამავე პრინციპს თითქო ექმიმგებენ ისინიც რომელთა მიზანი სხვისი დამონება და ჩაგვრა.

შეუძლებელია, რომ სოციალისტს ისე ესმოდეს ერის თვითგამორკვევა, როგორც მყელეფელი და მეარცველი ბურჟუაზიის წარმომადგენელს. ამ უკანასკნელს შეუძლია სიტყვით ერის თვითგამორკვევის მიხრე იყოს, საქმით კი ყველა სუტ და პატარა ერს ჩაგრავდეს და ავიწროვებდეს, რაც მართალი ხდება ცხოვრებაში. ერთი სიტყვით ერთხელ და სამუდამოთ ბოლო უნდა მოეღოს ამ გაურკვეველობას, რომელიც ერის თვითგამორკვევის გარშემო არსებობს ერთ მხრით და სიფლიდეს და ეიყალბეს მეორე მხრით, რომელსაც კაპიტალისტთა კლასი ირენს, სხვათა შორის, ნაციონალურ საკითხშიაც. ეს საჭიროა განსაკუთრებით დღეს, როცა იმპერიალისტ-მბრძველებმა ასე ხშირათ გაკეთეინეს ერების თვითგამორკვევაზე, წვრილ და სუსტ ერების უფლებების დაცვაზე და სხვ.

სწორეთ ამ გარემოებას გაუსვამ ხაზი კონფერენციამ. ჩვენ გადაწყრეთ უნდა ვიცოდეთ, თუ რას ეგულისხმობთ ეროვნულ თვითგამორკვევაში, აი, აქ გამოაკარგადა, რომ კონფერენციაზე ამ საკითხის შესახებ ორგვარმა შეხედულებამ ინინა თავი. პირველი მიმდინარ[illegible] პოზიციას რომელსაც კონფერენცი[illegible]ბა მიემხრო, ასეთი იყო [illegible] მორკვევის უფლება ნი[illegible], რომ დამოკიდებულ ერს,—ერ[illegible] ძალიან ნებით მომწყვდეულ[illegible] ან სახელმწიფოს ფარგლ[illegible] ლება თავისუფალი გამ[illegible] მოუკიდებელი სახელმწიფ[illegible] რა თქმა უნდა ისინი, ვინ[illegible] მარტებას იძლეოდენ, [illegible] ორიან იმის მომხრე, რომ [illegible] სახელმწიფოების რიცხვ[illegible]

ლებიც დღეს დიდი სახელმწიფოების საზღვრებში იმყოფებიან, თავისუფალი გამოყოფის და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლება მიენიჭოთ, ვინაიდან ეს ხელს შეუწყობს სხვა და სხვა ერების მუშების ურთიერთ გათიშვას, შეაღსუტებს მათ შორის ძმურ კავშირს და სოლიდარულ ურთიერთობას, გაიდგიმებს მუშებში ნაციონალურ, ვიწრო შეხედულებას, დაიაღლოვებს ეროვნულ ბურჟუაზიასთან და სხვ. გარდა ამისა, ასეთი უფლების აღსარება წარმოშობს ილიუზიას, რომ კაპიტალიზმის უმწეურეულეს განვითარების დროს შესაძლებელია წვრილი ერების დამოუკიდებელი არსებობა, რაც უტოპიად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან იმპერიალისტურ ხანაში წვრილი ერების დამოუკიდებელი არსებობის არავითარი ნიადაგი არ აქვს არც პოლიტიკურად და არც ეკონომიურად. მაგრამ, ვინაიდან თავისუფალი გამოყოფის უფლება პირდაპირი ლოღიკური დასკვნაა ერის თვითგამორკვევის უფლებიდან, ასე რომ თუ ამ უკანასკნელ უფლებას ვცნობთ, მაშინ პირველივე უნდა ვსწორთ, ამიტომ ისინი, ვინც მეორე მიმდინარეობის მხარს უჭერდნენ, უარყოფდენ ერის თვითგამორკვევის უფლებასაც. რა თქმა უნდა, ისინი ლოღიკაში რჩებოდნენ. ამ შეხედულებას იცავდენ ნამეტურად პოლონეთის სოც.-დემოკრატიის წარმომადგენლები; ამ სტრიქონების დაწერიც კონფერენციაზე ამ შეხედულებას იცავდა. ᲧᲐᲛ ᲗᲣᲛᲪᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲘᲜᲘᲡ. ასეთი უფლების უარყოფა და ისეთ ზომების მიუღებლობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ უფლების პრაქტიკულ განხორციელებას, მტაცებლობის და ანექსიების პოლიტიკის პირდაპირ მხარის დაჭერა იქნებოდა. მხოლოთ პროლეტარიატის მიერ მიღება იმის, რომ ერებს აქვთ უფლება გამოყოფის, უზრუნველყოფს სხვა და სხვა ერების მუშების სრულ სოლიდარობას და ხელს შეუწყობს ნაციონალის ნამდვილ დემოკრატიულ დაახლოებებს.

ის კონფლიქტი, რომელიც ამ ეამთ ირსებობს ფინლიანდიასა და რუსეთის დროებითი მთავრობას შორის, მეტათ თვალსაჩინოთ გვიმტკიცებს, რომ თავისუფალი გამოყოფის უფლების უარისყოფა არსებითათ ცარიზმის პოლიტიკის გაგრძელებაა.

ის საკითხი, რომ ერებს აქვთ უფლება თავისუფალი გამოყოფისა, ჩვენ არ უნდა ავუროთოთ ამა თუ იმ ერის ამა თუ იმ მომენტში გამოყოფის ხელსაყრელობის საკითხთან. ეს უკანასკნელი საკითხი პროლეტარიატის პარტია ვალდებულია გადაჭრას თითოეულ კერძო შემთხვევაში სრულებით დამოუკიდებლათ, მივიღებთ რა მხედველობაში მთელი საზოგადოებრივი განვითარების ინტერესებს ერთი მხრით და სოციალიზმისთვის, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს მეორე მხრით.

პარტია თხოულობს ფართო სოილქო ავტონომიას, მაღლიდან ზედამხედველობის გაუქმებას, საკანონმდებლო სახელმწიფო ენის გაუქმებას და თვითმართველ და ავტონომიურ ოლქების საზღვრების განსაზღვრას ისე კი რომ თვით ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გაუწიონ აწგრძნი ეკონომიურ პირობებს, ყოფაცხოვრებას, მცხოვრებლების ეროვნულ შედგენილობას და სხვ.

პროლეტარიატის პარტია გადაჭრით უარყოფს ეგრეთ წოდებულ კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას, ე. ი. სახელმწიფოს მართვა-გამგეობიდან სასკოლო საქმის და სხვ. გამოყოფას და ასეთ საქმეების ნაციონალურ სეიმების ხელში გადაცემას. ამ მუშებს, რომლებიც ერთ ალაგას ცხოვრობენ და თითქმის ერთ და იმავე დაწესებულებაში მუშაობენ, კულტურულ-ნაციონალური ავტონომია ბოლოოდენ ერთ ალაგებს ერთი მეორესგან იმის მიხედვით, თუ რომელ ნაციონალურ კულტურას ეკუთვნიან ისინი, ე. ი. აძლიერებს მუშების კავშირს ცალცალკე ერების ბურჟუაზიულ კულტურასთან, იმავე დროს კი სოციალ-დემოკრატიის დანიშნულებას შეადგენს მსოფლიო პროლეტარიატის ინტერნაციონალური კულტურის გაძლიერება.

პარტია თხოულობს ძირითად კანონებში ისეთი მუხლის შეტანას, რომლის ძალით უნდა გაუქმდეს ყოველგვარი ნაციონალური პრივილეგია და აგრეთვე ეროვნული გარდაქმნის ხანაშიდაც კი იმათ ვერ შეძლეს ამ ჩხირკედელობისთვის თავი დაენებებინათ და დიდი რევოლიუციის მნიშვნელობა შეეთვისებინათ.

ფ. მახარაძე.

რუსეთის ნაციონალურ საკითხზე,

მიღებული რუსეთის სოც.-დემ. პარტიის საყრო კონფერენციაზე.

ნაციონალური შეკითხვების პოლიტიკას, რომელიც თვითმპყრობელობის დამონარქიის მემდეგიდერეობას შეადგენს, მხარს უჭერენ მემამულეები, კაპიტალისტები და წვრილი ბურჟუაზია თავიანთი კლასობრივი პრივილეგიების დასაცავად და სხვადასხვა ერების მუშების დასაქსაქსავად. თანამედროვე იმპერიალიზმი კი აძლიერებს რა სუსტ ერების დამორჩილების მისწრაფებას, წარმოადგენს ნაციონალური დამონების გამწვავების ახალ ფაქტორს. რამდენათაც შესაძლებელია კაპიტალისტურ საზოგადოებაში ნაციონალურ შეკითხვების თავიდან აცილება, ეს შესაძლებელია მხოლოთ ნამდვილ დემოკრატიულ რესპუბლიკანურ წესწყობილების საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს ყოველ ერებს და ენებს სრულ სწორუფლებიანობას.

ყველა იმ ერებს, რომლებიც რუსეთის საზღვრებში ცხოვრობენ, უნდა მიეცეთ უფლება თავისუფალი გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისა. ასეთი უფლების უარყოფა და ისეთ ზომების მიუღებლობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ უფლების პრაქტიკულ განხორციელებას, მტაცებლობის და ანექსიების პოლიტიკის პირდაპირ მხარის დაჭერა იქნებოდა. მხოლოთ პროლეტარიატის მიერ მიღება იმის, რომ ერებს აქვთ უფლება გამოყოფის, უზრუნველყოფს სხვა და სხვა ერების მუშების სრულ სოლიდარობას და ხელს შეუწყობს ნაციონალის ნამდვილ დემოკრატიულ დაახლოებებს.

ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲤᲘᲜᲚᲘᲐᲜᲓᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲛᲘᲪᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲝᲤᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲓᲔᲑᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲛᲞᲐᲗᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲛᲬᲘᲠᲝᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲡᲛᲘᲠᲘ ᲙᲐᲜᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲛᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲠᲝᲠᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲝᲑᲐ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲠᲐᲒᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲨᲘ

ქვეყნის კაპიტალისტები აწარმოებენ, რომ დიიტაკონ ქვეყნები და გადიდონ თავისი მოგება. მშრომელ ხალხს ეს ომი არავითარ შემთხვევაში არაფერს მისცემს გარდა დაღუპვისა, საშინელებისა, განადგურებისა და გაფლეურებისა. ამიტომ ჩვენი პარტია, შეგნებულ მუშათა პარტია, უღარიბეს გლეხთა პარტია გადაჭრით უარყოფს ამ ომს, არ ამარცლებს ერთი ქვეყნის კაპიტალისტებს მეორე ქვეყნის კაპიტალისტებთან წინააღმდეგ. არ ეხმარება არც ერთ ქვეყნის კაპიტალისტებს, ცდილობს რაც შეიძლება მალე მოუღოს ბოლო ომს ყველა ქვეყნის კაპიტალისტებს ჩამოგდებით, ყველა ქვეყნის მუშათა რევოლიუციით.

ჩვენს ახლანდელ დროებით მთავრობაში 10 მინისტრი მემამულეთა და კაპიტალისტების პარტიას ეკუთვნიან, ექვსი კი „ნაროდნიკების“ („სოციალისტ-რევოლიუციონერები“) და „მენშევიკ სოციალ- დემოკრატების“ პარტიებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ნაროდნიკები და მენშევიკები დიდ და საბედისწერო შეცდომას სჩადიან, როცა ისინი კაპიტალისტების მთავრობაში შედიან და საერთოთ მას ეხარის უკეთენ. ისეთ ხალხს, რიგორც არიან წერეთელი და ჩერნოვი, იმედი აქვთ—კაპიტალისტებს დავიყოლიებთ და რაც შეიძლება ჩქარა და პატიოსანი გზით გავთავებინებთ ამ მტაცებლობითი ომსო. მაგრამ სცდებიან ეს ბელადები ნაროდნიკების და მენშევიკების პარტიებისა. ნამდვილად ისინი ეხმარებიან კაპიტალისტებს, რომ მათ მოამზადონ თავდასხვა რუსეთის ჯარებისა გერმანიაზე, ესე იგი იმპიალისურებენ ომს და ადიდებენ ისეთად უმბაღლითო და მძიმე მსხვერპლთა რიცხვს, რომელიც გადაახდა თავს რუსეთის ხალხს ამ ომის წყალობით.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ქვეყნის კაპიტალისტები ატყუებენ ხალხს, როცა პირდებიან—მალე მივიღწევთ სამართლიან ზავსო და ნამდვილათ კი აპანურებენ მტაცებლობითი ომს. რუსეთის კაპიტალისტებმა, რომ [illegible] ხელში ეჭირ[illegible]

[illegible] ...ითი მთავრობა, არც [illegible]ონდომეს გამოეძვეყნებინათ ის საიდუმლო, ავანტიური ხელშეკრულებანი, რომლებიც დაუდო ყოფილმა მეფემ ნიკოლოზ რომანოვმა ინგლისს, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების კაპიტალისტებს და რომლებსაც მიზნათ ქონდა წაერთმია ოსმალებისთვის კონსტანტინოპოლი, ავსტრიელებისთვის გალიცია, ოსმალებისთვის სომხეთი და სხვა, დროებითმა მთავრობამ დაადასტურა და ახლაც ადასტურებს ამ ხელშეკრულობებს.

ჩვენი პარტია სჯნობს, რომ ეს ისეთივე ავანტიური მტაცებლობითი ხელშეკრულებებია, როგორიც არის ავანტიკ-გერმანელ კაპიტალისტებისა და მათი ავანტიკ-იმპერატორ ვილჰელმის და მისი მოკავშირეების ხელშეკრულებანი.

მუშების და გლეხების სისხლი არ უნდა იღვრებოდეს კაპიტალისტების ამ მტაცებლობითი მიზნების მისაღწევად.

უნდა ჩქარა გავთავოთ ეს ავანტიური ომი—და მით კი არა, რომ გერმანიასთან შეეკრათ სეპარატიული (ცალკე) ზავი, არამედ საერთო ზავი; კაპიტალისტების ზავით კი არა, მშრომელი მასის ზავით კაპიტალისტების წინააღმდეგ. ამისთვის ერთი გზაა: მთელი სახელმწიფო ძალა უკლებლათ უნდა გადავიდეს მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების ხელში. რუსეთშიაც და სხვა ქვეყნებშიაც. ხხოლოთ ხხეთ საბჭოებს შეუძლიათ ხელი შეუშალონ კაპიტალისტებს ხალხის მოტყუებაში, ხელი შეუშალონ ომის გაჭიანურებას კაპიტალისტების მხრით

ახლა მე გადაეიდავარ მესამე და უკანაკნელ კითხვაზე: ეს არის სახელმწიფოს მოწყობა.

რუსეთი უნდა გადაიქცეს დემოკრატიულ რესპუბლიკათ. ამას ემხრობა მეშამულეების და კიპიტალისტების უმრავლესობაც, რომელნიც მუდამ მონარქიას მოამზრე იყვნენ, მაგრამ ახლა დარწმუნდნენ, რომ რუსეთის ხალხი არაფრის გულისთვის არ დაუშვებს მონარქიის აღდგენას. კაპიტალისტებმა ახლა იციან მიმართეს თავიანი ძალღონე, რომ რუსეთის რესპუბლიკა, რაც შეიძლება ძალიან გავდეს მონარქიას, რომ რაც შეიძლება ადდეს მონარქიას, ეს ეიდინ

[illegible] ...ეს ეიდინ

[illegible] ...ეს ეიდინ

[illegible] ...